




ავტორები: დავით კუშელავა, იაროსლავა ბაბიჩი

ქარიშხლის ეპიცენტრში: 2022 წელს ეკონომიკაში ორნიშნა ზრდაა მოსალოდნელი, რაც ძლიერი საგარეო სექტორით იქნება განპირობებული

გრაფიკი 1 - საქართველო, რეალური მშპ-ის ზრდის ტემპი (წ.წ.)



ISSET-ის კვლევითმა ინსტიტუტმა 2022 წლის მესამე და მეოთხე კვარტლის მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდის პროგნოზი განაახლა. ქვემოთ მოცემულია ამ თვის განახლებების ძირითადი მიგნებები:

ძირითადი მიგნებები

- ISET-ის კვლევითმა ინსტიტუტმა 2022 წლის მესამე კვარტლის (ივლის-სექტემბერი) მშპ-ის რეალური ზრდის პროგნოზი 0.1 პროცენტული პუნქტით შეამცირა წინა თვის პროგნოზთან შედარებით და ახალი მაჩვენებელი 16.4%-ს გაუტოლდა. მეოთხე კვარტლის (ოქტომბერ-დეკემბერი) ზრდის პროგნოზის მესამე შეფასება კვლავ უცვლელი რჩება და 17.3%-ს უტოლდება.
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა (საქსტატი) 2022 წლის აგვისტოს მშპ-ის რეალური ზრდის წინასწარი შეფასება გამოაქვეყნა, რომელიც ამ ეტაპზე 10.5%-ს შეადგენს. შედეგად, 2020 წლის პირველი რვა თვის განმავლობაში, მშპ-ის რეალური ზრდის წლიური მაჩვენებელი 10.3%-ია.
- აგვისტოს მონაცემებზე დაყრდნობით, 2022 წელს წლიური ზრდის პროგნოზი 13.8%-ს შეადგენს. აღნიშნული მაჩვენებელი, დიდი ალბათობით, გადაჭარბებულადაა შეფასებული. რაც იმ ფაქტით არის განპირობებული, რომ ეკონომეტრიკული მოდელი საქართველოს ეკონომიკური ცვლადების მხოლოდ წარსულ მნიშვნელობებს ეყრდნობა, სადაც არ მოიპოვება ასეთი ფართომასშტაბიანი ომის, სანქციებისა და მიგრაციის ანალოგი.



მშპ-ის ზრდის პროგნოზის განმაპირობებელი ცვლადები:

საქონლით ვაჭრობა. აგვისტოში საქართველოს ექსპორტი წლიურად **40.4%**-ით გაიზარდა, რაც, ძირითადად, განაპირობებული იყო ავტომობილების (167%-ით ზრდა, რაც 22.4 პროცენტულ პუნქტს უტოლდება), სიგარეტის, მანილური სიგარეტის, სიგარილიოების და სიგარეტების (584%-ით ზრდა, რაც 2.7 პროცენტულ პუნქტს შეადგენს), ელექტროენერჯის (7689-ჯერ ზრდა, რაც 2.7 პროცენტულ პუნქტს შეადგენს), სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების (16%-ით, 2.6 პროცენტული პუნქტით ზრდა) და მინერალური და ქიმიური სასუქების (291%-ით ზრდა, რაც 2.2 პროცენტულ პუნქტს შეადგენს), ასევე, ნატურალური ყურძნის ღვინოების (26%-ით ზრდა, 1.6 პროცენტული პუნქტით), ძვირფასი ლითონებისა და კონცენტრატების (182%-ით ზრდა, 1.6 პროცენტული პუნქტით), ცოცხალი, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის (95%-ით ზრდა, 1.1 პროცენტული პუნქტით) და წყლის, მინერალური და გაზირებული წყლის (შაქრით) (53%-ით ზრდა, 1.0 პროცენტული პუნქტით) გაზრდილი ექსპორტითა და რეექსპორტით. ამის საპირისპიროდ, წლიური ვარდნა განიცადა ფეროშენადნობის (53%-ით კლება, -5.9 პროცენტული პუნქტით), ტყის თხილისა და სხვა სახის თხილის (63%-ით კლება, -1.6 პროცენტული პუნქტით) და წყლის, მინერალური ან ხელოვნური წყლების და გაზიანი წყლების (შაქრის გარეშე) (13%-ით კლება, -0.5 პროცენტული პუნქტით) ექსპორტმა. აღსანიშნავია, რომ საქონლის ექსპორტის დრამატული ზრდა, უმეტესწილად, უფრო მაღალი ფასების ანარეკლია, ვინაიდან ექსპორტის რეალური მოცულობა გაცილებით მცირედით, წლიური 17.3%-ით გაიზარდა.

ამ პერიოდის განმავლობაში საქონლის იმპორტი 39.7%-ით გაიზარდა, რაც უმეტესად საწვავისა და ნავთობპროდუქტების (რაც დიდწილად უფრო მაღალი ფასებით იყო განპირობებული), სპორტული ავტომობილების, ძვირფასი ლითონების და კონცენტრატების და სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების (3.2 პროცენტული პუნქტით) გაზრდილმა იმპორტმა/რეიმიპორტმა განაპირობა. შედეგად, საგარეო სავაჭრო დეფიციტმა საგრძნობლად მოიმატა წლიური **39.3%**-ით და **743.1 მლნ აშშ დოლარს** გაუტოლდა. *საერთო ჯამში, ვაჭრობასთან დაკავშირებულმა ცვლადებმა მცირედი დადებითი წვლილი შეიტანეს მშპ-ის ზრდის პროგნოზებში.*

ფულადი გზავნილები. აგვისტოში ფულადი გზავნილები წლიური **63.1%**-ით გაიზარდა და **334.3 მლნ აშშ დოლარი** შეადგინა. აღნიშნული ზრდის მთავარი ხელშემწყობნი იყვნენ: რუსეთის ფედერაცია (რომელმაც, ფაქტობრივად, მთლიანი ზრდის ნახევარი უზრუნველყო, 35.8 პროცენტული პუნქტი), სომხეთი (7.7 პროცენტული პუნქტი), ყირგიზეთი (5.7 პროცენტული პუნქტი), ბელარუსი (3.9 პროცენტული პუნქტი), ყაზახეთი (3.7 პროცენტული პუნქტი), გერმანია (2.5 პროცენტული პუნქტი), აშშ (2.2 პროცენტული პუნქტი), იტალია (1.4 პროცენტული პუნქტი), ტაჯიკეთი (1.4 პროცენტული პუნქტი) და დიდი ბრიტანეთი (1.1 პროცენტული პუნქტი). მეორე მხრივ, ფულადი გზავნილების შემოდინებამ იკლო უკრაინიდან (3.7 პროცენტული პუნქტი), აზერბაიჯანიდან (1.1 პროცენტული პუნქტი), მოლდავეთიდან (0.3 პროცენტული პუნქტი) და საბერძნეთიდან (0.3 პროცენტული პუნქტი). *საერთო ჯამში, ფულადი გზავნილების ნაკადის აღდგენამ დადებითი წვლილი შეიტანა მშპ-ის ზრდის პროგნოზებში.*

ტურიზმი. ქვეყანაში შემოსული ტურისტების რაოდენობა და მათგან მიღებული შემოსავლები საგრძნობლად გაიზარდა 2022 წლის აგვისტოში, 2020 წლის მკვეთრად დაცემისა და 2021 წელს ნაწილობრივ აღდგენის შემდეგ. აგვისტოში საერთაშორისო ვიზიტორების რიცხვი წლიური გამოთვლებით **178.5%**-ით გაიზარდა, ხოლო ტურისტების რაოდენობის (კერძოდ, იმ ვიზიტორებისა, რომლებმაც 24 საათი ან მეტი გაატარეს საქართველოში) ზრდამ **135.8%**-ს მიაღწია. *საერთო ჯამში, ვიზიტორებისა და ტურისტების მზარდმა რაოდენობამ, ტურისტული შემოსავლების ზომიერი ზრდის პარალელურად, პოზიტიური წვლილი შეიტანა მშპ-ის ზრდის პროგნოზებში.*



რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი (REER). აგვისტოში რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი (REER) თვიური მაჩვენებლით 4.6%-ით და წლიური გამოთვლებით 20.2%-ით გაიზარდა. ლარის რეალური გაცვლითი კურსი (RER) გამყარდა სხვა დიდი პარტნიორი სახელმწიფოების ვალუტასთან მიმართებით თვიურ ჭრილში: ევროსთან მიმართებით 2.7%-ით, რუსულ რუბლთან – 6.2%-ით, თურქულ ლირასთან – 4.9%-ით და აშშ დოლართან მიმართებით 2.8%-ით. უფრო მეტიც, ლარი/ევროს, ლარი/აშშ დოლარის და ლარი/თურქული ლირის რეალური გაცვლითი კურსი (გარდა ლარი/რუბლისა, რომელიც 10.2%-ით შემცირდა) გაიზარდა წინა წლის იმავე თვის კურსთან შედარებით, შესაბამისად, 32.5%, 15.0%, 12.9%, და 46.8%-ით. *საერთო ჯამში, REER-თან დაკავშირებულმა ცვლადებმა მცირედი დადებითი წვლილი შეიტანეს მშპ-ის რეალური ზრდის პროგნოზებში.*

დეპოზიტები ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში. ცვლადების კიდევ ერთი ჯგუფი, რომელმაც საგრძნობი თვიური და წლიური ცვლილებები განიცადა აგვისტოში და მცირედი პოზიტიური წვლილი შეიტანა მესამე და მეოთხე კვარტლების მშპ-ის რეალური ზრდის პროგნოზში, კომერციულ ბანკებში ეროვნულ ვალუტაში არსებული დეპოზიტების მოცულობა იყო. ყველაზე დიდი წლიური ზრდა დაფიქსირდა ეროვნულ ვალუტაში მოთხოვნამდე დეპოზიტებზე – 42.1%-იანი ზრდა წინა წლის იმავე თვესთან შედარებით. რიგით მეორე, ყველაზე დიდი წლიური ზრდა დაფიქსირდა ეროვნულ ვალუტაში გახსნილ ვადიან დეპოზიტებზე, რომელთა ვადა არ აღემატება 3 თვეს – 37.7%-იანი წლიური ზრდა. *პროგნოზიდან, უდავოდ, შეგვიძლია დავინახოთ, რომ ეროვნულ ვალუტაში არსებულ დეპოზიტებთან დაკავშირებულ ცვლადებს პოზიტიური გავლენა ჰქონდა მშპ-ის რეალური ზრდის პროგნოზებში.*

შედარებით ზომიერი წლიური ზრდა დაფიქსირდა კომერციულ ბანკებში უცხოურ ვალუტაში გახსნილ დეპოზიტებთან მიმართებით. დეპოზიტის დოლარიზაცია 1.3 პროცენტული პუნქტით გაიზარდა (თვიურად) და 57.4%-ს გაუთანაბრდა.

მსოფლიო ფასები. მშპ-ის ზრდის პროგნოზირებისას ჩვენი ინტერესის სფეროში მოექცა ცვლადების ისეთი კატეგორიებიც, როგორებიცაა: მეტალის ფასის ინდექსი (PMETA) და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის ინდექსი (PRAWM). ლითონს საქართველოს ექსპორტში მნიშვნელოვანი წილი უჭირავს, მაშინ როცა საკვები და საწვავი მთავარ იმპორტულ პროდუქციას წარმოადგენს. ამგვარად, ლითონის ფასის გლობალური ზრდა სავარაუდოდ დადებით შედეგს მოუტანს საქართველოს ეკონომიკას, ხოლო სოფლის მეურნეობის პროდუქტების ფასების ზრდა, მეორე მხრივ, დამაზიანებელი იქნება ეკონომიკისთვის. **წლიური გამოთვლებით, ლითონის ფასებმა აგვისტოში 12.8%-ით, ხოლო სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის ფასმა 6.6%-ით დაიკლო.** ამგვარად, *მოდელისთვის PMETA და PRAWM ინდიკატორების დამატება ამცირებს მშპ-ის ზრდის პროგნოზს ორივე კვარტლისთვის.*

ინფლაცია. აგვისტოში სამომხმარებლო ფასების წლიური ინფლაცია 10.9%-ს გაუტოლდა, რაც მიზნობრივ 3%-ს მნიშვნელოვნად აღემატება. სამომხმარებლო ფასების ინდექსის (CPI) ინფლაციის დაახლოებით 4.6 პროცენტული პუნქტი საკვების უფრო მაღალმა ფასებმა განაპირობა (რაც მსოფლიოს მასშტაბით საკვების ფასების ზრდით იყო გამოწვეული – გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) სურსათის ფასების ინდექსი წლიურად 7.7%-ით გაიზარდა¹). გარდა ამისა, გაზრდილმა საწვავის ფასმაც საგრძნობლად მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა (1.1 პროცენტული პუნქტი) წლიური ინფლაციის მაჩვენებელში. **აღნიშნული ტენდენცია, უმეტესწილად, მსოფლიო ბაზარზე მნიშვნელოვნად გაზრდილი საწვავის ფასების ანარეკლია (ევრო ბრენტის ფასი (COP) წლიური 42%-ით გაიზარდა).** თუმცა იგივე ცვლადი თვიურად 10.3%-ით შემცირდა. შესაბამისად, შემდეგი ორი ფაქტორი გვაძლევს ოპტიმიზიმის საფუძველს ინფლაციასთან

¹ თუმცა საკვების ფასის ინდექსში წლიურ ზრდას დადამავალი ტრენდი აქვს (ივნისი – 23.5%, ივლისი – 12.9%, აგვისტო – 7.7%, სექტემბერი – 5.5%).



დაკავშირებით: 1) საწვავის ფასებმა კლება დაიწყო მას შემდეგ, რაც წლის დასაწყისში პიკს მიაღწია და 2) ლარის გაცვლითი კურსი საქართველოს მთავარი სავაჭრო პარტნიორების ვალუტებთან მიმართებით გამყარდა. ამავდროულად, საბაზო ინფლაციის მაჩვენებელი 7%-ს გაუტოლდა. *საერთო ჯამში, CPI-სთან დაკავშირებულმა ცვლადებმა მცირედი უარყოფითი წვლილი შეიტანეს მშპ-ის პროგნოზში.*

ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის პროგნოზირების მოდელი ახალი ეკონომიკის სკოლის მიერ შემუშავებული წამყვანი ეკონომიკური ინდიკატორების (LEI) მეთოდოლოგიის მიხედვით შეიქმნა. ჩვენ მიერ შემუშავებული მოდელი ეფუძნება დაშვებას, რომ არსებული მონაცემებიდან შესაძლებელია იმ ფაქტორების გამოკვეთა, რომლებიც ყველა მნიშვნელოვან ეკონომიკურ ცვლადს (მათ შორის მშპ-საც) ასახავს, თან მშპ-ის ზრდის ოფიციალური მონაცემების გამოქვეყნებამდე მნიშვნელოვნად ადრე. ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი თითოეული კვარტლისთვის ხუთ ყოველთვიურ პროგნოზს (ან 'vintage') აქვეყნებს, რომელთა სიზუსტე დროსთან ერთად იზრდება. პირველი პროგნოზი (1-ელი 'vintage'), როგორც წესი, ხელმისაწვდომია საანგარიშო კვარტლის დასრულებამდე ხუთი თვით ადრე. ბოლო პროგნოზი (მე-5 'vintage') კი მომდევნო კვარტლის პირველ თვეში ქვეყნდება.